საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/250 " 11 " სექტემბერი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 3 ოქტომბრის №1/92-2006 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 3 ოქტომბრის №1/92-2006 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ამ პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დავები, თუ სარჩელის ფასი აღემატება 500 000 ლარს (კომერციული დავები), გარდა:

ე.ა) დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დავებისა;

ე.ბ) მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ დავებისა;

ე.გ) არასამეწარმეო პირებს, მათ შორის ფიზიკურ პირებს, შორის წარმოშობილი დავებისა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების, უსაფუძვლო გამდიდრების ან სხვა კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან;

ე.დ) არასამეწარმეო პირებს შორის გარიგების ბათილად ცნობის შესახებ დავებისა (იძულების, მოტყუების, მოჩვენებითობის ან სხვა საფუძვლით);

ე.ე) არასამეწარმეო პირებს შორის დადებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავებისა;

ე.ვ) არასამეწარმეო პირებს შორის წარმოშობილი დავებისა უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ (აღიარებითი სარჩელები);

ე.ზ) დავებისა, სადაც ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2017 წლის 12 სექტემბრიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი